განმცხადებელი : დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი

თარიღი : 28-08-2021
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ[ებ]ი: პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : 2021 წლის 28 ივლისს გამოცემა „ბანკები და ფინანებმა“ გამოაქვეყნა მასალა საქართველოს ეროვნული სეისმური ცენტრისა და მის მიერ გამოქვეყნებული ან არ გამოქვეყნებული მონაცემების შესახებ. „მეცნიერებს სეისმურ მონაცემებს მხოლოდ კიმ ჩენ ინი და თეა გოდოლაძე უმალავენ“ - არჩილ კაიკაციშვილი | BFM.GE „

ჩვენ ერთხელ უკვე მოგმართეთ გამოცემა „კომერსანტის“ წინააღმდეგ, რომელსაც მსგავსი სტატია ჰქონდა გამოქვეყნებული. „ბანკები და ფინანსებიც“ მსგავს სტატიას აქვეყნებს. თუმცა, მოგვიწია, მათზე კიდევ ცალკე მოგვეხდინა რეაგირება. ამიტომ, ამ საჩივარშიც ნაწილობრივ გამეორდება დარღვევები და მათი დასაბუთება, რადგან, როგორც თქვენც ნახავთ ქვემოთ, ამ სრულიად სხვადასხვა მედია გამოცემებში ნაწილობრივ ერთმანეთის იდენტური ტექსტებიც კი მეორდება [რომელიც არ არის რესპოდენტის ციტატა].

აღნიშნული სტატია შეიცავს უამრავ უზუსტობას და აგებულია დეზინფორმაციაზე. გარდა ამისა, რაც უფრო მეტად სამწუხაროა, სტატიის ავტორმა/გამოცემამ არც სცადა, რომ აღნიშნული ფაქტები სხვა წყაროებთან, მათ შორის, სტატიაში პირდაპირ „ბრალდებულ“ მხარეებთან გადაემოწმებინა, ან რომელიმე რელევანტურ ოფიციალურ წყაროსთან, ან ონლაინ არსებული მაგალითები მოეყვანა. მიგვაჩნია, რომ მასალა არის არაეთიკური და ის პირდაპირ ხელს უწყობს ტყუილის გავრცელებას, რადგან გამოცემა აქვეყნებს ბრალდებებს ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ინსტიტუტზე, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრზე და ამ ბრალდებებს აჟღერებს მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით, რომელიც ამავდროულად არის დაინტერესებული მხარის ადვოკატი და არა ოფიციალური, ნეიტრალური წყარო. მნიშვნელოვანია, რომ ამ სტატიის დაწერის პროცესში გამოცემამ არც ერთხელ არ მიმართა არც სეისმურ ცენტრს და არც თეა გოდოლაძეს, რომ მას კომენტარი გაეკეთებინა მის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებზე. გამოცემამ მკითხველს მიაწოდა მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაცია.

აქ მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ კონტექსტიც: რამდენიმე მედია გამოცემაში წამოწეული საკითხი - დაპირისპირება დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელს შორის, თვეებია გრძელდება. თუმცა, სეისმური ცენტრის დირექტორმა თეა გოდოლაძემ ამ საკითხებზე ჟურნალისტებს საჯაროდ უპასუხა და არაერთხელ განმარტა სტატიაში აღნიშნული თითქოს „დამალული“ მონაცემების საჯაროობის შესახებ, რომლებიც სინამდვილეში არის ხელმისაწვდომი. მან ასევე ონლაინ მედიაში საჯაროდ განმარტა, კონკრეტული მაგალითების მოშველიებით, თუ სად და როგორ ასაჯაროებს ინსტიტუტი მონაცემებს და რომ არსებობს მონაცემების მხოლოდ ერთი ტიპი - ისეთი, რომელზეც ჯერ ისევ მიმდინარეობს მუშაობა - რომელიც შეიძლება მუშაობის დასრულებამდე არ გაასაჯაროვოს მეცნიერთა ჯგუფმა.

https://youtu.be/SH-uxFuEsSI
https://ipress.ge/new/thea-godoladze-sakheltsipho-daphinanseba-chven-bolo-2-tselitsadia-ar-gvgonia-es-aris-absoluturad-chveni-gundis-damsakhureba-rom-am-gveghanas-seismuri-gseli-agvs/

კონტექსტისთვის ასევე უნდა ითქვას, რომ გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ყველაზე აქტიურია თეა გოდოლაძის წინააღმდეგ დაწერილი სტატიების ავტორი გამოცემების ნუსხაში, რომელსაც, ბოლო 2 თვეში ერთგვარი კამპანიური ხასიათი მიეცა. გამოცემამ გამოაქვეყნა შემდეგი მასალები:

https://bfm.ge/thea-godoladze-misabadz-magalithad-ruseths-azerbaijans-da-somkheths-asakhelebs/?fbclid=IwAR0hl_F3QjgV-fLRTxu-MKAlV7zWJHHLgz4YNJ6unOY7uZFkkwIkRLYGuWs

https://bfm.ge/metsnierebs-seismur-monatsemebs-mkholod-kim-chen-ini-da-thea-godoladze-umalaven-archil-kaikatsishvili/?fbclid=IwAR3zIDvbeiGIYuhndNQ7_BOWF9hC9-HCsO3cCUb8DW080duMFz5ydDohoqE

https://bfm.ge/thea-godoladze-rusethis-sakhelmtsiphos-kontrolirebad-saagento-sputnikthan-agtiurad-thanamshromlobs/?fbclid=IwAR22IMmC-83s0p53DYkad0s2iHLfOVsc8x3kOO12wdoyKAgWZV820eRd_yY

მიმდინარე სტატია:

აღნიშნულ სტატიაში „ბანკები და ფინანსები“ ავრცელებს არაერთი უზუსტობას რესპოდენტ არჩილ კაიკაციშვილზე დაყრდნობით, ან ყოველგვარ წყაროზე დაყრდნობის გარეშე, ყოველგვარი ჩაკითხვის, დაზუსტების, გადამოწმების, სხვა წყაროებთან გადამოწმების ან მცირე ონლაინ მოკვლევის გარეშე, რომელიც ფაქტებს ადვილად წარმოაჩენდა. ჟურნალისტს აქვს ვალდებულება:

პრინციპი 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

პრინციპი 3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

პრინციპი 11. **ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება;**

მიგვაჩნია, რომ „ბანკები და ფინასნებმა“ ეთიკის ქარტიის სწორედ ეს სამი პრინციპი დაარღვია.

კონკრეტულად:

#1. სტატიაში ნათქვამია:

„ირკვევა, რომ დაწესებულება უარს ამბობს მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს სეისმური მონაცემები და განმარტებულია, რომ მეცნიერები აღნიშნულ მონაცემებს იღებენ საერთაშორისო ბაზებიდან, სადაც განთავსებულია მწირი მონაცემები მაგნიტუდა 3-ის ზემოთ საქართველოს ტერიტორიისთვის. ორგანიზაცია დაინტერესდა საკითხის შესწავლით და სხვადასხვა უწყებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, აქვს თუ არა სახელმწიფოს სეისმური უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და ერთიანი ხედვა. ამასთან, რამდენად ხელმისწავდომია ან ღია უნდა იყოს სეისმური მონაცემები დაინტერესებული პირებისთვის, მეტადრე სფეროს კვლევით დაინტერესებული მეცნიერებისთვის, რომელთა პრეტენზიები სეისმური მონაცემების ხელმისწავდომობაზე – სამართლიანია.“

პასუხი:

ეს ამონარიდი ბევრი რამითაა საინტერესო. სანამ ქარტიის პრინციპების დარღვევაზე გადავიდოდეთ, პირველ რიგში საინტერესოა, რომ ის თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს სრულიად სხვა გამოცემის, „კომერსანტის“ სტატიის ტექსტს.
იხილეთ ამონარიდი „კომერსანტიდან“ : Commersant.ge | თეა გოდოლაძეს საქართველოს მეცნერებათა ეროვნული აკადემიაც ამხელს - არჩილ კაიკაციშვილი

„ირკვევა, რომ დაწესებულება უარს ამბობს გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს სეისმური მონაცემები და განმარტებულია, რომ მეცნიერები აღნიშნულ მონაცემებს იღებენ საერთაშორისო ბაზებიდან, სადაც განთავსებულია მწირი მონაცემები მაგნიტუდა 3-ის ზემოთ საქართველოს ტერიტორიისთვის. ორგანიზაცია დაინტერესდა საკითხის შესწავლით და სხვადასხვა უწყებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, აქვს თუ არა სახელმწიფოს სეისმური უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და ერთიანი ხედვა. ამასთან, რამდენად ხელმისაწვდომია ან ღია უნდა იყოს სეისმური მონაცემები დაინტერესებული პირებისთვის, მეტადრე სფეროს კვლევით დაინტერესებული მეცნიერებისთვის, რომლთა პრეტენზიები სეისმური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე - სამართლიანია.“,

საინტერესოა, რატომ უნდა აკოპირებდეს სხვადასხვა მედია ერთსა და იმავე ტექსტს თუ ისინი ერთი და იგივე ავტორის დაწერილი არაა და უბრალოდ სხვადასხვა გამოცემაში გამოქვეყნდა. არც „კომერსანტს და არც „ბანკები და ფინანსებს“ „რეკლამის“ აღმნიშვნელი ნიშანი სტატიებთან თანდართული არ აქვთ [რომელ შემთხვევაშიც მეტნაკლებად ახსნილი იქნებოდა მასალის იდენტურობის მიზეზი].

დასაბუთება:

აღნიშნული, ფაქტი არის არასწორი. სეისმურმა ცენტრმა არაერთხელ განაცხადა, რომ ისინი ასაჯაროებენ მონაცემებს. იზღუდება მხოლოდ იმ ტიპის მონაცემების დროებით გამოქვეყნება, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა და მეცნიერები იღებენ გადაწყვეტილებას, დასრულებამდე არ გამოაქვეყნონ.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი 2003 წლიდან ქმნის საქართველოს ციფრულ სეისმურ ქსელს სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტისა და აშშ-ის უნივერსიტეტების სამეცნიერო გუნდის დახმარებით. ქსელისა და მონაცემთა განახლება ძირითადად მსხვილი საერთაშორისო პროექტების ხარჯზე მოხდა, განსაკუთრებით, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში. სამეცნიერო გუნდი ციფრული სეისმური ქსელის შექმნის დღიდან, მონაცემებს კატალოგისა და პირველადი მონაცემების [ე.წ. ბიულეტენები] სახით აწვდის დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ცენტრს - http://www.isc.ac.uk/ .

აგრეთვე, ინსტიტუტის ციფრული სეისმური ქსელის ტალღური ჩანაწერები გადაეცემა აშშ-ის 120 უნივერსიტეტის კონსორციუმს - https://www.iris.edu/ .

კავკასიაში რეგისტრირებული ძლიერი მოძრაობების ბაზა ასევე ატვირთულია საერთაშორისო პროფესიულ ვებ-გვერდებზე:

https://esm-db.eu/#/home

https://www.orfeus-eu.org/data/strong/

დარღვევა #2:

სტატიაში ნათქვამია:

„ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიგა ზედანიას მიმართავს და მოუწოდებს გადაუჭრელი ზომები მიიღოს საქართველოში სეისმური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, აიღოს პასუხისმგებლობა სეისმური მონაცემების ღიაობაზე, საშუალება მისცეს ყველა მეცნიერს და დაინტერესებულ პირს ამ მონაცემების თავისუფალ წვდომაზე, ვინაიდან **მიწისძვრის სრული კატალოგები [მცირე მაგნიტუდის მიწისძვრის ჩათვლით] ყველა ქვეყანაში ღიაა, გარდა ისეთი მმართველობის მქონე ქვეყნებში, როგორიც ჩრდილოეთ კორეა და რუსეთია, ინფორმაციის გაუმჭვირვალობა და ხელმისაწვდომობაზე არსებული ბარიერები კი, საქართველოს მათ რიცხვში ამყოფებს.“**

დასაბუთება:

ეს აბზაცი ავრცელებს არასწორ ინფორმაციას, რადგან აღნიშნული მონაცემების დიდი ნაწილი საქართველოს ქსელს აქვს ღია და არასწორია საქართველოს შედარება ზემოთ დასახელებულ ქვეყნებთან. გარდა იმისა რომ სერიოზულ რეპუტაციულ ზიანს აყენებს ინსტიტუტს, მაგალითად, ჩრდილოეთ კორეასთან [მაშინ, როცა ინსტიტუტი ასევე თანამშრომლობს აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან], ფაქტი არის არაზუსტი. როგორც ზემოთ მოცემულ დასაბუთებაშია აღნიშნული, საქართველოს სეისმური ცენტრის მონაცემების დიდი ნაწილი ღიაა საერთაშორისო ქსელებში. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, დროებით დახურულია მხოლოდ ისეთი ტიპის მონაცემები, რომლებზეც ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა და მეცნიერთა საავტორო ჯგუფი წყვეტს მათ დროებით დახურვას, რადგან ისინი შექმნისა და დამუშავების პროცესშია. ამ პროცესს არეგულირებს საერთაშორისო ხელშეკრულებები.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი 2003 წლიდან ქმნის საქართველოს ციფრულ სეისმურ ქსელს სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტისა და აშშ-ის უნივერსიტეტების სამეცნიერო გუნდის დახმარებით. ქსელისა და მონაცემთა განახლება ძირითადად მსხვილი საერთაშორისო პროექტების ხარჯზე მოხდა, განსაკუთრებით, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში. სამეცნიერო გუნდი ციფრული სეისმური ქსელის შექმნის დღიდან, მონაცემებს კატალოგისა და პირველადი მონაცემების [ე.წ. ბიულეტენები] სახით აწვდის დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ცენტრს - http://www.isc.ac.uk/ .

აგრეთვე, ინსტიტუტის ციფრული სეისმური ქსელის ტალღური ჩანაწერები გადაეცემა აშშ-ის 120 უნივერსიტეტის კონსორციუმს - https://www.iris.edu/ .

კავკასიაში რეგისტრირებული ძლიერი მოძრაობების ბაზა ასევე ატვირთულია საერთაშორისო პროფესიულ ვებ-გვერდებზე:

https://esm-db.eu/#/home

https://www.orfeus-eu.org/data/strong/

დარღვევა #3: სტატიაში ნათქვამია:

„ორგანიზაციამ შესწავლის ფარგლებში წერილით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და მოისმინა ოფიციალური პოზიცია საკითხზე, ვის ეკუთვნის სეისმური მონაცემები საქართველოში. აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება მიიჩნევს, რომ მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მოთხოვნა მისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნულ ცენტრში დაცული ე.წ. საწყისს მონაცემთა ბაზაზე ხელმისწვდომობასთან დაკავშირებით – სამართლიანია. ამავდროულად, როგორც ირკვევა, ილიას უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულის ხელმძღვანელი, თეა გოდოლაძე, კვლავ კატეგორიულ უარს აცხადებს ამ მონაცემების გადაცემაზე.

მსოფლიოს უამრავი ქვეყნის პრაქტიკის შესწავლის შემდეგ სამწუხარო დასკვნამდე მივდივართ, – სეისმური ცენტრის ცენტრის დირექტორის ქმედებების გამო, საქართველო ჩრდილოეთ კორეას ემსგავსება. სეისმურ მონაცემებს მეცნიერებს მხოლოდ კიმ ჩენ ინი და თეა გოდოლაძე უმალავენ.

დასაბუთება:

საინტერესოა, რომ ეს აბზაციც იმეორებს მსგავს ინფორმაციას და შესაბამისად, მსგავს უზუსტობას, როგორც ზემოთ აღნიშნული მსგავსი სტატია „კომერსანტიდან“.

მეცნიერებათა აკადემიას არ აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება ამ დავასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ის დასკვნას ვერ გამოიტანდა.

ჩვენ ვესაუბრეთ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებს, მათ დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნულ დავაში ვერ ჩაერევიან და ეს ოფიციალურად დააფიქსირეს განათლების სამინისტროსადმი მიწერილ წერილში.

შესაბამისად, გაურკვეველია, საიდან აქვს არჩილ კაიკაციშვილს და „ბანკები და ფინანსებს“ ინფორმაცია, თითქოს მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა რომ გეოფიზიკის ინსტიტუტის მოთხოვნები სამართლიანია.

მიგვაჩნია, რომ ამ ინფორმაციის გადამოწმების გარეშე გავრცელებით, „ბანკები და ფინანსებმა“ დაარღვია ეთიკის ქარტიის #1, #3 და #11 პრინციპები, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევის გარდა, თუკი ისინი წარმოადგენენ აღნიშნულ დოკუმენტს, სადაც მეცნიერებათა აკადემიის ეს სიტყვები დასტურდება. სამწუხაროდ, მსგავსი წერილი ან ოფიციალური ინფორმაცია წერილი, როგორც ფაქტობრივი მტკიცებულება, არ აქვს სტატიას თანდართული.

რაც შეეხება გამოცემის დასკვნას: „მსოფლიოს უამრავი ქვეყნის პრაქტიკის შესწავლის შემდეგ სამწუხარო დასკვნამდე მივდივართ, – სეისმური ცენტრის ცენტრის დირექტორის ქმედებების გამო, საქართველო ჩრდილოეთ კორეას ემსგავსება. სეისმურ მონაცემებს მეცნიერებს მხოლოდ კიმ ჩენ ინი და თეა გოდოლაძე უმალავენ.“ - არის ტყუილი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ვფიქრობთ რომ გამოცემამ დაარღია მუხლები #1 და #3.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები